

ქ.თბილისი

2017 წლის 13 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2017 წლის 13 ოქტომბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 5 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათა უნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ირაკლი ჩიქავა, ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, ამა წლის 12 ოქტომბერს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგის კალენდარულ მატჩზე საჩხერის „საჩხერე“-ს არგამოცხადების შესახებ სურამის „მგლები“-ს წინააღმდეგ.

#### გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საჩხერის „საჩხერე“ ა/წლის 12 ოქტომბერს არ გამოცხადდა სათამაშოდ სურამის „მგლები“-ს წინააღმდეგ.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.11, სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 1.11 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

#### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. საჩხერის „საჩხერე“-ს ჩაეთვალოს წაგება, დააკლდეს ერთი საცხრილო ქულა და დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით., ხოლო მოწინააღმდეგუნდს ჩაეთვალოს ბონუსქულიანი მოგება და ანგარიში დაფიქსირდეს 30:0.
2. კლუბის მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 1.11 პუნქტი და კლუბ საჩხერის „საჩხერე“-ს, ჭაბუკთა „ბ“ ლიგაში დააკლდება 5 (ხუთი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/